6
ივლისი

შაბათი,
1963 წ.
№ 132 (2237)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. აბაშიძე — მსოფლიო ჩემპიონი

ჰელსინგბორგში (შვეცია) დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ტურნირი აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით. მათ მოიპოვეს ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენებმა დააგროვეს 37,5 ქულა და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. ჩვენს ნაკრებს გადაეცა ეროვნებათა პრიზი. მეორე ადგილი ჩემპიონატში დაიკავა უნგრეთის გუნდმა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ იუგოსლავია, შვეცია, ბულგარეთი და თურქეთი.

პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით:

უმჩატესი წონა—1. ბ. ვუკოვი (იუგოსლავია), 2. ი. ფაბრა (იტალია), 3. ს. რიბალკო (საბჭოთა კავშირი).

მჩატე წონა — 1. ი. ვარგა (უნგრეთი), 2. ი. შვეცი (ჩეხოსლოვაკია), 3. დ. პეტროვი (ბულგარეთი), 4. ო. კარავაევი (საბჭოთა კავშირი).

ქვემსუბუქი წონა — 1. გ. საპუნოვი (საბჭოთა კავშირი), 2. ი. პოიაკი (უნგრეთი), 3. მ. ივანოვი (ბულგარეთი).

მსუბუქი წონა — 1. ს. ხორვატი (იუგოსლავია), 2. დ. გვანცელაძე (საბჭოთა კავშირი), 3. კ. როსტა (გფრ).

ქვესაშუალო წონა — 1. ა. კოლესოვი (საბჭოთა კავშირი), 2. რ. ვესპერი (გფრ), 3. ბ. ნიუსტრემი (შვეცია).

საშუალო წონა — 1. ტ. კიში (თურქეთი), 2. ბ. სიმიჩი (იუგოსლავია), 3. დ. გურიჩი (უნგრეთი), 5. ნ. ჩუჩალოვი (საბჭოთა კავშირი).

ქვემძიმე წონა — 1. რ. აბაშიძე (საბჭოთა კავშირი), 2. ნ. მარტინესკუ (რუმინეთი), 3. ხ. ქაფლანი (თურქეთი).

მძიმე წონა — 1. ა. როშჩინი (საბჭოთა კავშირი), 2. რ. სვენსონი (შვეცია), 3. ი. რაშკე (აშშ).

სურათებზე: (მარცხნივ) მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ინჟინერ-მშენებელი რ. აბაშიძე (ქვევით) დ. გვანცელაძე — მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

სამივე პრიზი სტუმრებს დარჩათ

მოსკოვში დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება ძმები ზნამენსკების პრიზზე. მესამე მთავარ პრიზზე — 10 კმ მორბენლებს ბრძოლა უხდებოდათ წვიმაში. ნახევარი დისტანციის შემდეგ გამოვლინდა ძირითადი პრეტენდენტები ფრანგი რ. ბოჟეი და ფრუნზელი ლ. ივანოვი. ფინიშზე წინ გავიდა ფიზკულტურის მასწავლებელი ექსლიბენიდან რ. ბოჟეი და 0,2 წამით მიასწრო ლ. ივანოვს. გამარჯვებულის დროა — 28.48,2. ამრიგად, სამივე ძირითადი პრიზი მოიპოვეს სტუმრებმა.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია ე. ოზოლინას ბრწყინვალე შედეგი ქალთა შორის შუბის ტყორცნაში, მან აჩვენა 59 მ 78 სმ და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. გ. პოპოვამ 200 მ რბენაში გაიმეორა ევროპის რეკორდი — 23,4, ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე უძლიერესი აღმოჩნდა ლ. კვესტადი (აშშ) — 20,9. 400 მ თარჯრბენში ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგით (51 წამი) გაიმარჯვა ვ. ანისიმოვმა.

ვ. კუცის ხელმძღვანელობით მოსკოვში ორი წლის წინ შეიქმნა მორბენალთა სკოლა, რომლის წარმომადგენელმა უკვე ისახელა თავი ამ შეჯიბრებაზე. ე. ოსიპოვმა 3000 მ წინაღობებით რბენის დისტანცია გაირბინა 8.34,4-ში და გააუმჯობესა ამ შეჯიბრების რეკორდი.

მისთვის უჩვეულო ამპლუაში — სიგრძეზე ხტომაში გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი სამხტომში პოლონელი ი. შმიდტი და პირველი ადგილიც მოიპოვა — 7.79 მ. მაღალი შედეგით აღინიშნა გ. კონდრაშოვის გამოსვლა უროს ტყორცნაში — 67.69 მ. ბადროს ტყორცნაში უძლიერესი აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკელი ლ. დანეკი — 55.49 მ.

წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები რ. შავლაყაძე და ლ. იევლევა. ვაჟთა სიმაღლეზე ხტომაში ერთნაირი სიმაღლე — 205 სმ დაძლიეს ვ. ბოლშოვმა და რ. შავლაყაძემ, მაგრამ ნაკლები ცდების გამო პირველობა ბოლშოვს მიეკუთვნა. ქალთა სიგრძეზე ხტომაში სეზონის საუკეთესო შედეგით (6.34 მ) გაიმარჯვა ტ. შჩელკანოვამ. ლ. იევლევა 1 სმ-ით ჩამორჩა მეორე ადგილზე გამოსულ თ. ტალიშევას — 6.08 და მესამე ადგილი მოიპოვა.

ფეხბურთის ფედერაციის პლენუმი

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება—დაგზავნოს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, სადაც ისინი ადგილობრივი ფედერაციების პლენუმებზე ფართო აქტივს საანგარიშო მოხსენებათა სახით გააცნობენ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობას, მომავლის გეგმებს, აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებს, ადგილებიდან მოისმენენ წინადადებებს და აზრებს მომავალი მუშაობის გარდაქმნისათვის.

აღნიშნული ღონისძიების დამთავრების შემდეგ მოსკოვში შედგება საკავშირო ფედერაციის გაფართოებული პლენუმი, სადაც უნდა გამომუშავდეს ფართო საფეხბურთო საზოგადოებრიობის აზრი, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას მუშაობა არსებული ხარვეზებისა და ჩამორჩენის დასაძლევად, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ღირსეულ წარმატებებს მიაღწიონ დიდი მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებში. საკავშირო ფედერაციის ეს ნაბიჯი ძალზე სასარგებლო და საჭიროა, მაგრამ შეიძლება ითქვას — მოგვიანებულიც. ამგვარი კონტაქტები ფედერაციას ადრევე უნდა დაემყარებინა ადგილებთან, რათა საერთო საქმიანობას უფრო ქმედითი და არსებითი ხასიათი ჰქონოდა.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლის“ რედაქტორი მ. მერჟანოვი. მისი მოხსენება 4 მთავარ საკითხად იყო დაყოფილი: მასობრივი ფეხბურთი, ოსტატთა ტურნირები, საერთაშორისო შეხვედრები და აღმზრდელობითი მუშაობა.

ფედერაციის ოფიციალური აღრიცხვით დღეს ჩვენს ქვეყანაში ირიცხება 2 მილიონზე მეტი ორგანიზებული ფეხბურთელი. ეს ის მასაა, რომელიც სისტემატურად გადის წვრთნას და მონაწილეობს შეჯიბრებებში, მაგრამ მასობრიობის დიდ ზრდას უნდა ეფარდებოდეს ბაზებისა და ინვენტარის შესაბამისი მატებაც, ამ მხრივ კი ჯერ სერიოზულ ჩამორჩენას აქვს ადგილი.

ძალზე ცუდად გამოდიან წელს ჩვენი ფეხბურთელები საერთაშორისო მატჩებში. სსრ კავშირის ნაკრების წარუმატებლობა ამხანაგურ შეხვედრებში ყურადღების სერიოზულად გამახვილებას საჭიროებს. გარდა ამისა, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების მაჩვენებლებიც.

აღმზრდელობითს საკითხებში ხშირად იჩენენ ლიბერალობას როგორც კლუბების ხელმძღვანელები, ისე რესპუბლიკური და საკავშირო ფედერაციები. ამის გამო ჩვენს ფეხბურთში ჯერ კიდევ აქვს ადგილი წესრიგის დარღვევის უხეშ ფაქტებს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. პაიჭაძის გამოსვლა.

ქართული ფეხბურთის ვეტერანმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენი ფეხბურთის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი უპირველეს ყოვლისა უნდა ვეძიოთ იმ ქაოსსა და არაორგანიზებულობაში, რომელიც სუფევს ბავშვთა შორის მუშაობაში. ის, რაც დღეს ეძლევა ბავშვს სპორტულ სკოლაში (კვირაში დაახლოებით 6 საათი), აბსოლუტურად არ კმარა პირველდაწყებითი ჩვევების ასათვისებლად. ამიტომაა, რომ ოსტატთა კოლექტივებში ახლადჩარიცხულ მოთამაშეებს, როგორც წესი, ბურთის ფლობის ელემენტარულ ხერხებს ასწავლიან ხოლმე. გარდა ამისა, სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული ე. წ. „ველური ფეხბურთი“, რომელიც ფაქტიურად უნდა წარმოადგენდეს ფეხბურთელთა ულევ რეზერვუარს.

ოსტატთა კოლექტივებთან არსებული ბავშვთა მოსამზადებელი ჯგუფები მუშაობენ გარკვეულ დავალებათა და ამოცანების გარეშე და ამიტომაცაა, რომ დღემდე ვერ ამართლებენ მათზე დაკისრებულ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს. არავინ იცის, მაგალითად, თუ რა უნდა ამზადოს მწვრთნელმა ამ ჯგუფში— მთლიანად გუნდი, თუ კონკრეტულად რომელიმე მოთამაშე, ვთქვათ, მარჯვენა გარემარბი.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ცომაიამ საყვედური გამოთქვა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მიმართ, რომელმაც ყოვლად გაუმართლებელი ლიმიტები დააწესა მოკავშირე რესპუბლიკათათვის მათი „ა“ კლასში წარმომადგენლობის თაობაზე. მანვე ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად სისტემატურად უგზავნიან ძალზე დაბალი კლასის საზღვარგარეთულ გუნდებს, რომ ამ შეხვედრებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ჩვენი გუნდებისათვის. კიდევ მეტიც — წელს საერთაშორისო შეხვედრა საერთოდ არ ჩატარებულა საქართველოში.

„ბ“ კლასის საკავშირო შეჯიბრებათა სისტემის კრიტიკით გამოვიდა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე გ. ჯინჭარაძე. მან აღნიშნა, რომ უაზრობაა იმ დიდი თანხების ხარჯვა საქართველოდან შუა აზიის რესპუბლიკებში სამგზავროდ, რასაც ჩვენი გუნდები ეწევიან. ზონების შედგენა უნდა მოხდეს ტერიტორიული პრინციპით, რაც გაცილებით დიდ ეკონომიას მოგვცემს და მეტ დროსაც დატოვებს სასწავლო მუშაობისათვის. მანვე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლობა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში მინიმუმსაც არ აღწევს, რაც ყოვლად დაუშვებელია. მაგალითად, ამიერკავკასიის 3 რესპუბლიკას ფედერაციაში აქვს სულ 1 ადგილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლ. ჩხაიძემ, ლ. ხარაშმა, ვ. შავდიამ, გ. ბაქანიძემ და სხვებმა. პლენუმის დასასრულ ამხ. მ. მერჟანოვმა აღნიშნა, რომ მოისმინა ძალზე საყურადღებო გამოსვლები, მნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებსაც წარუდგენს საკავშირო ფედერაციას.

ამრიგად, აღნიშნულმა ღონისძიებამ მეტად საქმიან ვითარებაში ჩაიარა, მაგრამ კიდევ ერთხელ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში მომუშავე მწვრთნელების, მსაჯების, ფეხბურთის სპეციალისტების მინიმუმიც არ იყო დასწრებული პლენუმზე. ვის, თუ არა მათ, უნდა აინტერესებდეს ესოდენ სერიოზული საკითხები? თავისთავად იბადება კითხვა: ასეთივე გულგრილობით ხომ არ ეკიდებიან ისინი ახალგაზრდობის მზადების საქმეს თავიანთ კოლექტივებშიც?!

მოსწავლე სპორტსმენთა დიდი ფორუმის წინ

საქართველოს სსრ მოსწავლეთა XV სპარტაკიადის დამთავრებისთანავე დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. სპორტსმენთა კოლექტივებმა თავდაპირველად ერთობლივი წვრთნა თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყეს, შემდეგ კი სპორტის სახეობათა მიხედვით რესპუბლიკისა და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კუთხეში გადაინაცვლეს. მძლეოსნები, მოჭადრაკენი და ტანმოვარჯიშენი მოსწავლეთა VIII საკავშირო სპარტაკიადის ვოლგოგრადში დაწყების წინ ერთობლივ წვრთნას ლესელიძეში გადიან. ივლისის შუა რიცხვებში კი ისინი ვოლგოგრადს ესტუმრებიან. მოსწავლეთა საკავშირო ფორუმისათვის აქ მთელი დატვირთვითა და დიდი პასუხისმგებლობით ემზადებიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მძლეოსანთა მაღალი შედეგები. ასე მაგალითად, ლესელიძეში საწვრთნელ შეჯიბრებაზე მოსწავლე ჩიტაიშვილმა ჭოკით ხტომაში 3 მ 90 სმ სიმაღლე აიღო. ეს შედეგი მხოლოდ 10 სმ-ით ჩამორჩება მოზრდილთა I თანრიგის ნორმატივს. კარგი შედეგები აჩვენეს სიმაღლეზე მხტომელებმაც: ბონდარენკომ 190 სმ-იანი ზღვარი გადალახა, ხოლო დანარჩენმა ოთხმა — ჩასათვლელ ნორმატივზე უკეთესი შედეგები აჩვენა — 175-180 სმ.

ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა უკვე გეზი მოსკოვისაკენ აიღეს, სადაც ისინი რამდენიმე საწვრთნელ მატჩს ჩაატარებენ ძლიერ კოლექტივებთან და შემდგომ ვოლგოგრადს ესტუმრებიან. ჩვენ ვესაუბრეთ კალათბურთელთა მწვრთნელებს. ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელმა მ. კეკელიძემ პროგნოზებისაგან თავი შეიკავა, მაგრამ გვაცნობა, რომ კოლექტივი ძალზე დიდი მონდომებით ემზადება. მოთამაშეთაგან მან გამოყო ქუთაისელი მოსწავლე საკანდელიძე, რომელიც გუნდის საუკეთესო ლიდერია. ჭაბუკებმა უკვე რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარეს რსფსრ-ს, ლენინგრადისა და მოსკოვის კოლექტივებთან. მწვრთნელმა დასძინა, — ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ გუნდის შემადგენლობაში თითქმის არა გვყავს ე. წ. „2-მეტრიანი" სპორტსმენები. და ეს იმ დროს, როდესაც ასეთები არიან რსფსრ-ს, მოსკოვისა და სხვა კოლექტივებში. გოგონათა გუნდის მწვრთნელმა გ. ბაბახანიძემ და ს. ოგანეზოვმაც გაგვიზიარეს თავიანთი აზრი. მათ მიაჩნიათ, რომ გოგონათა კოლექტივი წარმატებით იბრძოლებს საპრიზო ადგილებისათვის. მოსკოვში კალათბურთელები ივარჯიშებენ მიწის მოედანზე, რადგან მათ ვოლგოგრადში პირველობისათვის ბრძოლა სწორედ ასეთ მოედნებზე მოუხდებათ.

ჩვენი რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელები უკვე ეწვივნენ ბალტიისპირეთს. ისინი რამდენიმე მატჩს ჩაატარებენ ტალინის, რიგისა და კაუნასის ნორჩ სპორტსმენებთან.

ჩვენმა ველოსიპედისტებმა და ფეხბურთელებმა უკვე გეზი აიღეს ვოლგოგრადისაკენ და წინასასტარტო წვრთნას იქ გაივლიან. ყველაზე პირველად (11 ივლისს) სპარტაკიადაში ფეხბურთელები ჩაებმებიან. მოცურავეები და წყალში მხტომელები მეცადინეობენ თბილისის ბაზებზე.

ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო სპარტაკიადას მოემსახურება 12 კვალიფიციური მსაჯი. მათ შორის იქნებიან საკავშირო კატეგორიის მსაჯები — გ. ჰილაია, ე. სტეპანოვა (ტანვარჯიში), ა. ყანჩელი (ფეხბურთი), გ. არუთინოვი (მაგიდის ჩოგბურთი), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები — კ. კალანდაძე (კალათბურთი), ე. გაგუა, ვ. ვდოვინი, ა. კარსლიანი (მძლეოსნობა), ი. მარგუნენკო, ე. იოაკიმიდი (ცურვა). ჩვენი რესპუბლიკიდან მსაჯებად წავლენ ვოლგოგრადში აგრეთვე გ. ქირია (წყალში ხტომა) და ნ. ფოფხაძე (კალათბური).

უ. მუსერიძე

---

* * *

საქართველოს მძლეოსნები საწვრთნელ შეკრებას გადიან ბორჯომში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ შუბის მტყორცნელებს, რომლებსაც მორიგი ვარჯიშის წინ ესაუბრებიან მწვრთნელები ვ. შმაკოვი (მარცხნიდან პირველი) და ნ. ლობჟანიძე (მარჯვნიდან მეორე).

ვილაპარაკოთ პერსპექტივებზე

დაძაბული მუშაობის პერიოდი

საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსანთა შეჯიბრება ჩვენი ძალების გენერალური შემოწმება იყო ხალხთა III სპარტაკიადისათვის, მაგრამ ცუდმა ამინდებმა საგრძნობლად გააძნელა გაგვეკეთებინა ამომწურავი ანალიზი. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი გახდა თვალნათლივ დაგვენახა ჩვენი ნაკრების დადებითი და ჩრდილოვანი მხარეები.

ტურნირმა პირველ რიგში ცხადყო, რომ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ნაკლები ყურადღება ეთმობა მოზრდილთა შორის მძლეოსნობის განვითარებას. სწორედ ამის გამო იყო, რომ ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ რა სასკოლო ასაკის სპორტსმენები, ბევრ კოლექტივს საგრძნობლად გაუჭირდა ბრძოლა გამარჯვებისათვის. სამაგიეროდ, მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გამართული შეჯიბრების შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა — პერიფერიების წარმომადგენლებმა 17 პირველი ადგილი მოიპოვეს.

ნაკრები გუნდების შეჯიბრებაზე ცუდად გამოვიდნენ ფოთის, სამხრეთ ოსეთის, ჭიათურის მძლეოსნები. მათგან ვერცერთმა ვერ შეძლო II თანრიგის ნორმატივის ჩვენება. ჭიათურას მართალია, არ გააჩნია შესაფერისი ბაზა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მძლეოსნობაზე ხელი ავიღოთ. საინტერესოა, რას იტყვიან სამხრეთ ოსეთის მძლეოსნობის ფედერაციისა და სპორტკავშირის ხელმძღვანელები? მათ განკარგულებაში შესანიშნავი ბაზებია. ამის მიუხედავად მძლეოსნობის პოპულარიზაციის, მიღწეოსანთა გამოვლინების და აღზრდისათვის აღარავითარი მუშაობა არ წარმოებს. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც მძლეოსნობას ჩამოშორდა მწვრთნელი შ. ტრანკაშვილი. ფორისა და რუსთავის ორგანიზაციებმა შეჯიბრებაზე ჩამოიყვანეს ისეთი მძლეოსნები, რომლებიც III თანრიგსაც კი ვერ შეწვდნენ. აი მაგალითებიც, ზ. კატაევმა (ოსეთი) ბადრო ტყორცნა 31 მეტრზე. მისმა თანაგუნდელმა ს. ჯაბაევმა შუბი ტყორცნა 42 მ 16 სმ, ზ. ლაშხმა 100 მ გარბენას 12,9 მოანდომა, ხოლო ზ. გაფრინდაშვილმა (ორივე ჭიათურიდან) 400 მ 1.01,0-ში გაირბინა. უფრო ცუდი იყო ი. დობროვოლსკაიას (რუსთავი) მაჩვენებელი 100 მ რბენაში — 15,5, ა. კარტოზიასი (ფოთი) 800 მ რბენაში — 2.30,6 და სხვ.

რაც შეეხება ნაკრების წევრებს, მათ ვინც საქართველოს სპორტული ღირსება უნდა დაიცვან ხალხთა სპარტაკიადაზე, ასეთი სურათია: ვაჟთა 100 მ რბენაში სამმა — ა. ბედუკაძემ, ე. ლომთაძემ და ვ. ავიძბამ შეასრულეს I თანრიგი — 10,7 წამი, მაგრამ მათ მეტი მოეთხოვებათ, რადგან პირველ ორს შარშან 10,3 ჰქონდა ვ. ავიძბას კი 10,5. ჩათვლას მივიღებთ 200 მეტრზეც. აქ უძლიერესის ტ. ბახტაძის მაჩვენებელი იყო 22,3. მანვე აჩვენა I თანრიგი 400 მ რბენაში, მაგრამ ეს იყო წინასწარ გარბენაში და ფინალში უკვე II თანრიგის შედეგით გამარჯვება ჯ. სხულუხიას დარჩა — 50,0. ისე რომ, მოკლე მანძილზე საგანგაშო მაინცდამაინც არაფერია, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში.

800 მეტრზე მხოლოდ ვ. გონჩაროვი ასრულებს I თანრიგს. 10 კილომეტრზე რბენაში კი არავითარი პერსპექტივა არაა და ამ სახეობაში უკვე „განადგებული" გვაქვს „0". გადაწყვეტით არაფრის თქმა შეიძლება 5 კილომეტრზე რბენაშიც. აქ მხოლოდ ორს — ვ. ნესტერენკოს და ვ. ტიშჩენკოს გულისხმიერი, ენერგიული ვარჯიშით შეუძლიათ რაიმე სარგებლობა მოუტანონ კოლექტივს. ეს უნდა გაითვალისწინონ მათმა მწვრთნელებმა ვ. ვაშაკიძემ და ვ. მალიშკოვმა.

კარგ სპორტულ ფორმაშია ა. შჩერბინა, მას ყველა შანსი აქვს იბრძოლოს საპრიზო ადგილისათვის სპორტულ სიარულში, ხოლო ა. ფედოროვს შეუძლია შესრულოს ჩასათველელი ნორმატივი. მხოლოდ მ. ევსეევი გამოვა მარათონულ რბენაში, რაც არასაკმარისია. ვერაფერს ვუსაყვედურებთ ჩვენს 110 მ თარჯმორბენლებს. 400 მ თარჯმრბენლებს მართალია წინსვლა ეტყობათ (ჯ. სხულუხია, ო. კობჩიკი და პ. ნაგორნი), მაგრამ თუ მოსკოვში წასვლა სურთ, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ. საგრძნობლად გვიჭირს 3000 მ წინაღობებით რბენაში.

ჩათვლები უზრუნველყოფილი გვაქვს ხტომებში. მართალია, რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე სიმაღლეზე მხტომელებმა ვერ აჩვენეს მაღალი შედეგები (თ. მდივანმა მხოლოდ 180 სმ დაძლია), მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მსაჯთა კოლეგიას ეს სახეობა გადაედო, რადგან წვიმის გამო სექტორზე ხტომა შეუძლებელი იყო. ორი დღის შემდეგ იმავე თ. მდივანმა ვარჯიშზე შეძლო 210 სმ-ს დაძლევა, ისე რომ, მას და მის მწვრთნელს რ. შავლაყაძეს ყველა შანსი აქვთ საპრიზო ადგილისათვის იბრძოლონ სპარტაკიადაზე. იგივე უნდა ვთქვათ სიგრძეზე მხტომელ რ. ქოჩაკიძის შესახებაც. სამხტომში გუნდს „არ უღალატებენ" ლ. დარახველიძე, ვ. ჩხეიძე და ვ. ალექსანდროვი, რაც შეეხება ჭოკით ხტომას, საკმაოდ რთული ამოცანის წინაშეა კოლექტივი.

სასიხარულოა ხარვეზების დაძლევა უროს ტყორცნაში. ი. მეჟენკოვი ერთადერთი იყო სპარტაკიადაზე, ვინც რეკორდი დაამყარა და I თანრიგიც აჩვენა, I თანრიგამდე 25 სმ დააკლდა ო. ართილაყვასაც. მოულოდნელი იყო კ. გორძემაშვილის შედეგი შუბის ტყორცნაში. სპარტაკიადამდე მან აჩვენა 75 მ 80 სმ, მაგრამ შემდეგ უკლო მუყაით ვარჯიშებს და სპარტაკიადაზე 67 მ 45 სმ-ით მეორე ადგილი დაიკავა.

ვფიქრობთ ჩათვლებით უზრუნველყოფილი ვართ ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაშიც. პირველში გ. გუდაშვილს შეუძლია საპრიზო ადგილი მოიპოვოს, ხოლო ბირთვის კვრაში თ. მეჭურჭლიშვილმა და მ. ოყროშიძემ ოსტატობა უნდა შეასრულონ, მათ საამისო ყველა მონაცემები აქვთ.

ახლა ქალთა შესახებ. აქაც სპრინტით დავიწყოთ. 100 მ რბენაში ი. ბურლაკოვა უკვე მიწვდა ჩასათვლელ ნორმატივს. მას საგრძნობლად მიუახლოვდა ნ. სოლოვიოვა. 200 მ კი ჯერჯერობით ვერავინ ავიდა სანუკვარ ზღვარამდე. იგივე ითქმის 400 მ რბენაში, თუმცა ლ. თოფჩიშვილს, ა. შუქუროვასა და გ. ზრაჟევსკაიას მონაცემები გვაიმედებენ. 800 მ კი... საიმედო მცირეა. ანალოგიური მდგომარეობაა ბირთვის კვრაში. ლ. ტუღუში და ი. მხეიძე, რომლებიც სპეციალობით ბადროს მტყორცნელები არიან (ლ. ტუღუშმა სეზონში მსოფლიოში მეორე შედეგი — 54,68 მ აჩვენა), თავს არიდებენ ბირთვის კვრაში რეგულარულ ვარჯიშს. მათ მწვრთნელს ნ. დუმბაძეს რატომღაც მიაჩნია, რომ ბირთვის კვრა ხელს უშლის ბადროს ტყორცნაში შედეგების ზრდას, რაც არასწორია. მაგალითად თ. პრესი გამოდგება, რომელმაც სწორედ ორივე სახეობაში ვარჯიშით მიაღწია მსოფლიო რეკორდებს.

აღარაფერს ვამბობთ ხუთჭიდის, სიგრძეზე ხტომის, 80 მ თარჯრბენის შესახებ. აქ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ლ. იევლევა, თ. როჟმანოვა, მ. ქოჩლაძე და სხვები თავის სიტყვას იტყვიან სპარტაკიადაზე.

როგორც ვიცით, სპარტაკიადის საერთო შედეგებზე თავისებურ გავლენას მოახდენს მოსწავლეთა და საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო სპარტაკიადის შედეგებიც, ამ მხრივ კი ჩემის აზრით წინა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. სპორტკლუბი „სინათლე" მოსკოვში 3 ოსტატითა და 10 პირველთანრიგოსნით წარდგება. მაგრამ ყველაფერი ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მძლეოსნები უკვე ვალმოხდილნი არიან და ახლა, მოსკოვის სტარტამდე აღარაფერი დარჩათ გასაკეთებელი. პირიქით სწორედ ახლაა სპორტსმენთა და მწვრთნელთა ყველაზე ინტენსიური, დაძაბული მუშაობის პერიოდი. იგი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

რ. ტრაპაიძე,
რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი მძლეოსნობაში

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმში

ამას წინათ საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ 1963 წლის პირველი ნახევრის სტატისტიკური ანგარიშის შედგენისა და შესაბამის ზემდგომ ორგანოებში მისი წარდგენის საკითხი.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს მითითების შესაბამისად დადგენილია, რომ სპორტკავშირის სარაიონო და საქალაქო საბჭოები 1963 წლის პირველი ნახევრის სტატისტიკურ ანგარიშს ადგენენ ფიზკულტურის კოლექტივებიდან მიღებული ანგარიშის (ფორმა № 3) საფუძველზე.

სპორტკავშირის საოლქო და ასსრ საბჭოები ანგარიშს ადგენენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების შესაბამისი საბჭოებიდან მიღებულ სტატისტიკური ანგარიშის (ფორმა № 16) საფუძველზე და ამ ანგარიშის (ფორმა № 4) მიხედვით ნაკრებ ანგარიშს წარუდგენენ სპორტკავშირის რესპუბლიკურ საბჭოს 10 ივლისისათვის, ხოლო სპორტკავშირის სარაიონო და საქალაქო საბჭოები რესპუბლიკურ საბჭოში ანგარიშს არ წარუდგენენ.

სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭო 1963 წლის ნახევარი წლის სტატისტიკურ ანგარიშს ადგენს ფორმა № 4-ის მიხედვით, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური, ცენტრალური საბჭოს მიერ წარდგენილი ანგარიშის (ფორმა № 16) შესაბამისად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს დაავალა ფიზკულტურის კოლექტივები უზრუნველყონ საჭირო რაოდენობის სტატისტიკური ანგარიშის ბლანკებით, ხოლო სპორტკავშირის საბჭოებმა აქტიური დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ნახევარი წლის სტატისტიკური ანგარიშების ზემდგომ ორგანოებში დროულად წარდგენის საქმეში, ამასთანავე არ დაუშვან ანგარიშის წარდგენა მათი დამოწმების გარეშე.

ფეხბურთის მინდვრებზე

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივლისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მოსკოვი)	16	9	6	1	19—5	24
ცსკა	16	7	8	1	12—4	22
„დინამო“ (თბილისი)	16	8	5	3	27—15	21
„დინამო“ (მინსკი)	16	7	7	2	23—14	21
სკა (როსტოვი)	15	8	4	3	26—11	20
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	16	7	6	3	23—17	20
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	17	8	4	5	21—16	20
„ტორპედო“ (ქუთაისი)	16	5	9	2	12—9	19
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	16	8	2	6	28—20	18
„დინამო“ (კიევი)	16	6	5	5	24—18	17
„კაირატი“ (ალმა-ატა)	16	7	2	7	14—17	16
„შახტიორი“ (დონეცკი)	17	4	8	5	9—12	16
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	16	3	9	4	13—15	15
„ტორპედო“ (მოსკოვი)	16	4	6	6	14—19	14
„არარატი“ (ერევანი)	16	5	3	8	20—21	13
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	17	2	8	7	12—24	12
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	16	4	4	8	11—24	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	16	4	3	9	19—23	11
„დინამო“ (ლენინგრადი)	17	0	8	9	8—25	8
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	17	1	3	13	13—39	5

• • •

მოსკოვი. 4 ივლისს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ზენიტი“ (ლენინგრადი).

ლენინგრადელებმა ძლიერად ჩაატარეს თამაში და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:0.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ვოსტოკი“ (უსტ-კამენოგორსკი)

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გუშინ საკავშირო პირველობის მატჩში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონაში შედგა მატჩი თბილისის „ლოკომოტივსა“ და უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკს“ შორის.

თამაში დაიწყო იმით, რომ უკვე მე-3 წუთზე „ლოკომოტივს“ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ კახიანმა და ახალკაცმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა. სამაგიეროდ, მე-10 წუთზე „ვოსტოკის“ თავდამსხმელმა სალიმოვმა მოუგო ბრძოლა „ლოკომოტივის“ სამ მცველს, მეკარესა და გახსნა ანგარიში — 1:0.

„ლოკომოტივი“ ერთ ხანს უსისტემოდ თამაშობდა, მაგრამ შემდგომში თანდათან მოწესრიგდა ურთიერთმოქმედება რგოლებს შორის და გუნდს უკვე თამაშის ბოლომდე აღარ გაუშვია ინიციატივა ხელიდან. საპასუხო ბურთი გაიტანა ახალკაცმა, ხოლო ტაიმის დასასრულს იაშვილმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-5 წუთზე იაშვილმა მესამე ბურთი გაიტანა. მცირე ხნის შემდეგ გარღვევაზე გასული იაშვილი უხეშად წააქციეს „ვოსტოკის“ მცველებმა და ცერცვაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო.

ანგარიშით 4:1 გაიმარჯვეს თბილისის ლოკომოტიველებმა.

ე. ტაბუცაძე

საქართველოს 1963 წლის პირველობის გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეშახტე“ ტყიბული	14	11	0	3	31—12	22
„იმერეთი“ ქუთაისი	14	9	2	3	33—11	20
„მერცხალი“ მახარაძე	13	6	5	2	20—7	17
სას. სამ. ინსტ. თბილისი	13	5	7	1	20—11	17
„მეტალურგი“ ზესტაფონი	13	6	4	3	18—13	16
„ნადიკვარი“ თელავი	13	6	3	4	24—19	15
„განთიადი“ ბათუმი	15	5	4	6	14—22	14
„დილა“ გორი	13	4	5	4	11—11	13
„მალაროელი“ ჭიათურა	14	5	3	6	17—20	13
„ცისკარი“ ცხაკაია	13	3	5	5	22—19	11
„სალხინო“ გეგეჭკორი	14	2	3	9	18—39	7
„მექანიზატორი“ ფოთი	14	1	4	9	16—33	6
„მეტალურგი“ რუსთავი	14	1	3	10	8—35	5
„წინსვლა“ წულუკიძე	3	2	0	1	2—2	4

• • • •

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სინათლე“ თბილისი	15	10	2	3	28—17	22
„გურია“ ლანჩხუთი	14	10	0	4	31—15	20
„მესხეთი“ ახალციხე	15	9	2	4	28—18	20
„ლოკომოტივი“ სამტრედია	13	8	2	3	24—12	18
„შუქურა“ ჩაქვი	15	7	2	6	21—23	16
„სპარტაკი“ ცხინვალი	15	4	7	4	24—19	15
„შახტიორი“ ტყვარჩელი	13	2	9	2	16—16	13
„დინამო“ სოხუმი	14	3	7	4	10—14	13
„ოდიში“ ზუგდიდი	14	4	4	6	21—23	12
„ისანი“ თბილისი	13	5	2	6	13—18	12
„დურუჯი“ ყვარელი	13	3	5	5	21—23	11
„განთიადი“ ბორჯომი	15	3	5	7	9—19	11
ფიზ. ინსტ. თბილისი	12	3	2	7	13—21	8
„კახეთი“ გურჯაანი	15	0	5	10	8—29	5

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში დაიწყო მეორე წრე. უკვე შედგა მეორე ტურის მატჩები.

საქართველოს
პირველობა

I ქვეჯგუფი

„მეშახტე“ (ტყიბული)-„ცისკარი“ (ცხაკაია) — 3:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

მატჩის დასაწყისში ინიციატივა სტუმართა მხარეს იყო, მაგრამ იგი გამოუყენებელი დარჩა, ხოლო რაც შეეხება „მეშახტეს“, მან 31-ე წუთზე გოლით დაამთავრა თავისი ერთ-ერთი კონტრიერიში. შესვენების შემდეგ ცხაკაიელებმა გაიტანეს საპასუხო გოლი, მაგრამ ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი წარმატება. დარჩენილ დროში დომინირებდნენ მასპინძლები, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 3:1.

„იმერეთი“ (ქუთაისი)-„მალაროელი“ (ჭიათურა) — 0:1. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელ ფეხბურთელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მათ დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი. ერთადერთი ბურთი, რომელმაც „მალაროელს“ მოუტანა საპატიო გამარჯვება, გატანილ იქნა მე-19 წუთზე. „იმერეთს“ დრო საკმარისზე მეტი ჰქონდა საპასუხო ბურთის გასატანად და მიუხედავად ამისა, სტუმრებმა, რომელთა შორისაც საუკეთესოდ თამაშობდნენ დაცვა და მეკარე ხურციკიძე, შეძლეს შეენარჩუნებინათ მინიმალური ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ.

„ნადიკვარი“ (თელავი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 3:0. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

თელაველი ფეხბურთელები პირველივე წუთებიდან აგრესიულად იყვნენ განწყობილნი. მათ აქტიურად ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს კიდეც „მშრალი“ ანგარიშით.

„წინსვლა“ (წულუკიძე)-„მექანიზატორი“ (ფოთი) — 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მაყურებლები მომსწრე იყვნენ უინტერესო, უფერული თამაშისა. ანგარიში უკვე მე-5 წუთზე გახსნეს მასპინძლებმა, საბოლოოდ შეინარჩუნეს ეს ბურთი და 2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

„მეტალურგი (ზესტაფონი)-„განთიადი“ (ბათუმი) — 3:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

ბათუმელებმა ვერ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა „მეტალურგს“, რომელიც დიდი მონდომებით და კოლექტიურად მოქმედებდა. ზესტაფონის გუნდის გამარჯვება სავსებით დამსახურებულია.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 2:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

სტუდენტთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა პირველ ტაიმში, რომელიც მათ მოიგეს ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ თამაშის მსვლელობა მთლიანად შეიცვალა. სტუმრები მძლავრ შეტევაზე გადავიდნენ და 75-ე წუთისათვის ანგარიში უკვე მათ სასარგებლოდ იყო — 2:1. მხოლოდ მატჩის დამთავრების წინ შეძლეს თბილისელებმა თავი დაეღწიათ დამარცხებისათვის — 2:2. სტუდენტებმა არადამაკმაყოფილებლად ითამაშეს და გარდა ამისა, „თავი გამოიჩინეს“ უდისციპლინობასა და უხამსობაში. მოთამაშეთა ნაწილი ხულიგნურად მოექცა სპორტულ მეტოქეს, ხოლო გუნდის ხელმძღვანელებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. ეს პირველი შემთხვევა არ არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში და უნდა ვიმედოვნოთ, რომ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია დაუყოვნებლივ მიმართავს სათანადო ზომებს აღნიშნულ ფაქტზე.

„დილა“ (გორი)-„მერცხალი“ (მახარაძე) — 0:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. მეორე ტაიმში მახარაძელმა სალუქვაძემ გაიტანა ბურთი და თუმცა მას შემდეგ მასპინძლებს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, იგი ერთადერთი აღმოჩნდა განვლილ მატჩში.

II ქვეჯგუფი

„ისანი“ (თბილისი)-„სინათლე“ (თბილისი) — 0:3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მატჩის დასაწყისი დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. „სინათლემ“ მთელი თავისი ძალა აჩვენა მეორე ტაიმში და 3 „მშრალი“ ბურთიც გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

„გურია“ (ლანჩხუთი)-„მესხეთი“ (ახალციხე) — 2:0. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა მეტად მაღალ ტემპში. მასპინძელთა შეტევები გამოირჩეოდა მეტი მიზანდასახულობით და სიმწვავით. ორივე ბურთი „მესხეთის“ კარში გაიტანა ლ. ჟორდანიამ.

„სპარტაკი“ (ცხინვალი)-„დურუჯი“ (ყვარელი) — 2:2. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა, მაგრამ „დურუჯმა“ მალე გაიტანა საპასუხო გოლი და წინაც გავიდა — 2:1. სპარტაკელები დიდ ხანს უტევდნენ მოწინააღმდეგეებს და ანგარიშის გათანაბრება მოხერხდა მხოლოდ მატჩის დასასრულს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით — 2:2.

„დინამო“ (სოხუმი)-„კახეთი“ (გურჯაანი) — 0:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

პირველ ტაიმში ბრძოლას დაახლოებით თანაბარი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად სოხუმელთა მხარეს გადავიდა. მიუხედავად ამისა, ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

„შუქურა“ (ჩაქვი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 2:3. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებული სიძლიერით ჩაატარეს პირველი ტაიმი და მოიგეს იგი ანგარიშით 2:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში უკვე იყო 3:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ და ამ მომენტში გუნდმა შეასუსტა თამაში. ჩაქველებმა დაუყოვნებლივ გამოიყენეს ეს, მაგრამ მაქსიმუმი რაც მათ შეძლეს, ეს იყო 2 საპასუხო ბურთის გატანა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:2.

შედგა რესპუბლიკური ჩემპიონატის კიდევ რამდენიმე მატჩი. ფრედ — 0:0 ითამაშეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა (თბილისი) და ზუგდიდის „ოდიშის“ გუნდებმა. ტყვარჩელის „მეშახტემ“ დაამარცხა ბორჯომის „განთიადი“ — 2:0.

ფრედ — 1:1 დამთავრდა მატჩი „განთიადსა“ (ბათუმი) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს (თბილისი) შორის.

მოზარდთა შეჯიბრება

დაიწყო „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა მოსამზადებელი ჯგუფების საკავშირო შეჯიბრების რესპუბლიკური ზონის ფინალური ტურნირი.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდი. თბილისელებმა სწრაფი, ტემპიანი იერიშებით დაიწყეს თამაში და ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ—2:0. მეორე ტაიმში ქუთაისელებმა მნიშვნელოვნად გამოასწორეს თამაში, მაგრამ საბოლოოდ მაინც განიცადეს დამარცხება ანგარიშით 2:5. აღსანიშნავია, რომ თბილისელთაგან 3 ბურთის ავტორი იყო ვ. ჩიხრაძე.

სრული უპირატესობა ჰქონდათ თბილისის დინამოელებს სოხუმის თანაკლუბელებთან შეხვედრაში. გავიდა პირველი 45 წუთი და ანგარიში იყო 5:0. მაგრამ გუნდმა ნაადრევად ჩათვალა, რომ თამაში მეორე ტაიმშიც თავისთავად წარიმართებოდა მისი ასეთივე უპირატესობით. სოხუმელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და შეხვედრის მეორე ნახევარი დაამთავრეს ანგარიშით 3:1 თავიანთ სასარგებლოდ. საბოლოოდ გაიმარჯვა თბილისის „დინამომ“ — 6:3.

ფეხბურთის მინდვრებზე

ზღვისპირა პარკში

ბათუმში, ზღვისპირა პარკის სპორტულ მოედანზე დამთავრდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" პირველობა ხელბურთში (7:7). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის (I, II), ბათუმის (I, II), სოხუმისა და ქუთაისის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ქალთა შორის ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და გამარჯვება მოიპოვა თბილისის I გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის II გუნდი, მესამეზე — სოხუმის კოლექტივი.

ვაჟთა შორის ფინალში დაუმარცხებლად ორი გუნდი გავიდა: თბილისისა და ბათუმის I გუნდები. მათ შეხვედრას უნდა გამოევლინა ჩემპიონი. მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მალე თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველი ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 15:8. მეორე ნახევარი ბათუმელთა უპირატესობით წარიმართა და ტაიმის დასასრულს ანგარიში იყო ფრე — 24:24. დამატებითი დროის პირველ 10 წუთში ანგარიში კვლავ თანაბარი იყო — 26:26. შემდეგ ბათუმელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში, თავის კარში ერთი საპასუხო ბურთი მიიღეს და მატჩი მოიგეს ანგარიშით 28:27.

ა. ჩანტლაძე

• • •

სურათზე: სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე გამარჯვებული ბათუმის ხელბურთელთა გუნდი. მარცხნიდან (დგანან) — ნ. სოლდატოვი, ო. ლაზბა, გუნდის მწვრთნელი ბ. ფირცხალაიშვილი, ნ. სოკურენკო, ვ. ფირცხალავა; (სხედან) — ფ. სმოლინი, ზ. მაჭავარიანი, ნ. შანიძე, ო. ფანცხავა და ნ. ლომთათიძე.

ქვეყნები და ჩემპიონატები

ფეხბურთის ახალი ამბები

უნგრეთი

კარგა ხანს უნგრეთის ჩემპიონატში უფერულად თამაშობდა ბუდაპეშტის პოპულარული კლუბი „ფერენცვაროში". წელს ამ კლუბმა კვლავ საუცხოოდ ჩაატარა მთელი ასპარეზობა და უკვე ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი.

„ფერენცვაროშს" წვრთნის ცნობილი უნგრელი სპეციალისტი მესაროში. გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარე—აცელი, მცველები — ნოვაკი, მატრაი, დალნოკი, ნახევარმცველები—ვილეჟალი, ჰავაზი, თავდამსხმელები—კეკენი, რაკოში, ალბერტი, ოროზი და ფენვეში. 7 მათგანი შედის ან შედიოდა უნგრეთის ეროვნულ ნაკრებში. წელს კვლავ კარგად ითამაშა 22 წლის ფლორიან ალბერტმა, რომელიც უკვე ოთხი წლის მანძილზე ნაკრების წამყვანი ცენტრფორვარდია.

კარგი შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრება მტკ-მ და „დოჟამ" (უიპეშტი). ბუდაპეშტის მტკ-ს წვრთნის კოვაჩი, ხოლო წამყვანი მოთამაშეები არიან ცენტრალური მცველი შიპოში, ნახევარმცველი ნაგი, თავდამსხმელები შანდორი და სიმჩაკი. ხანდაზმულობის მიუხედავად შანდორი კვლავ დიდი ენერგიითა და შედეგიანობით თამაშობს. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ კიდევ ერთი მაღალი შედეგისათვის უნდა მიეღწია უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონ „დოჟას" (უიპეშტი). ბოლო ტურებამდე „დოჟა" (უიპეშტი) პირველი ადგილისათვის იბრძოდა, მაგრამ სუსტად ითამაშა ფინიშზე, სადაც რიგითი დამარცხებები განიცადა. მას წვრთნის წარსულში პირველი ფეხბურთელი სუსა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში „დოჟას" და უნგრეთის ნაკრების თავდამსხმელი იყო.

დიდი მოულოდნელობა იყო ბუდაპეშტის გუნდების „ჰონვედისა" და „ვაშაშის" უფერული თამაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონმა „ვაშაშმა" მხოლოდ მე-9 ადგილი დაიკავა 14 კოლექტივში, ხოლო „ჰონვედის" შედეგებზე იმოქმედა თავდასხმის ლიდერის ტიხის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ. მეტი იყო მოსალოდნელი უძლიერესი პროვინციული კლუბის „ტატაბანიასაგან", რომელსაც ამ სეზონიდან სათავეში ჩაუდგა თავის დროზე პოპულარული მეკარე დიულა გროშიჩი.

პირველი ლიგა დასტოვეს პროვინციულმა კლუბებმა „შალგოტარიანმა" და ქ. სომბადჰეის „ჰოლოდაშმა". ზაფხულის შესვენების შემდეგ უნგრეთში დაიწყება თასის გათამაშება და ამასთან ერთად ეროვნული ნაკრების ხანგრძლივი შეკრებაც. უნგრელთა საწვრთნელი მატჩების ერთ-ერთ ცენტრალურ ღონისძიებას წარმოადგენს 22 სექტემბრის შეხვედრა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან.

ბულგარეთი

ბულგარეთის წლევანდელი ჩემპიონატი იმით ხასიათდება, რომ დაირღვა არმიელთა კლუბ ცდნა-ს მრავალწლიანი ჰეგემონია. ეს კლუბი შუა სეზონში მოედნის დემონსტრატიულად დატოვებისათვის რამდენიმე ქულის ჩამოწერით იქნა დასჯილი და ერთხანს აუტსაიდერთა რიგებშიც კი აღმოჩნდა. შემდეგში ცდნა-მ თანდათანობით გააუმჯობესა თავისი სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ ამჟამად იგი უკვე აღარ არის ექსტრა-კლასის გუნდი. რომელიც ყოველ წელს პირველ ადგილს იკავებდა. მართალია, ცდნა მიუახლოვდა ლიდერებს, მაგრამ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მესამე ადგილისათვის თუ იბრძოლებს.

პირველი ადგილი თითქმის უზრუნველყოფილი აქვს პლოვდივის „სპარტაკის" ახალგაზრდულ კოლექტივს. მან 28 თამაშიდან 40 ქულა მოაგროვა და ორი ბოლო მატჩიდან ერთი ქულა ყოფნის პირველ ადგილზე გასასვლელად.

მეორე ადგილზე ისევ პლოვდივის „ბოტევია" (36 ქულა), ხოლო შემდეგ ადგილებზე სოფიის გუნდები „ლოკომოტივი" (34 ქულა), ცდნა (33), „ლევსკი" და „სპარტაკი" (31 ქულა თვითეულს).

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონობისათვის ბრძოლა პრაღის „დუკლასა" და ოსტროვას „ბანიკს" შორის უფრო გამოცდილი პრაღელების გამარჯვებით დამთავრდა. 35 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა „დუკლამ", ხოლო მეორე — ტრენჩინის „იედნოტამ", რომელმაც უკანასკნელ მომენტში გადაასწრო „ბანიკს".

ჩეხოსლოვაკელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ეს ჩემპიონატი წინანდელებთან შედარებით ფრიად უფერულად ჩატარდა. გოლის გატანა ბევრი გუნდისათვის ნამდვილი პრობლემა გახდა. მაგალითად, საერთაშორისო სახელის მქონე „სლოვანმა" (ბრატისლავა) თერთმეტ თამაშში ვერ მოახერხა ვერცერთი გოლის გატანა, შემდეგ როგორც იქნა გაიტანა ერთი ბურთი, მაგრამ ამ წარმატებასაც კვლავ ოთხი „უგოლო" თამაში მოყვა.

გუნდების უმრავლესობა ირჩევს დაცვით ვარიანტებს, რასაც თამაშის სანახაობითი მხარის გაუარესება მოყვა.

როგორც მიმომხილველი იან სოკოლი იუწყება, სწორედ საკლუბო გუნდების ასეთი სუსტი თამაშის გამოა ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, მარცხს მარცხზე განიცდის და პირველი წრიდანვე გამოეთიშა ევროპის თასის გათამაშებას.

რა თქმა უნდა, ასევე უნუგეშო სურათია მეორე ლიგაში. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის ფედერაციამ შეცვალა ადრინდელი გადაწყვეტილება პირველი ლიგიდან მეორეში სამი გუნდის გადასვლის შესახებ. ამის ნაცვლად პირველი ლიგის სამი აუტსაიდერი დამატებით მატჩებში შეებრძოლება მეორე ლიგაში სამ გამარჯვებულს. ამ შეჯიბრებაში სამი გამარჯვებული მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში ითამაშებს.

„რინგის გმირები"

ასე ეწოდება ახალ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მოგვითხრობს კრივში ევროპის XV ჩემპიონატის შესახებ (რეჟისორი ბ. ვეილანდი, დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები).

მოსკოვის სპორტის სასახლის რინგზე ერთ კვირაზე მეტ ხანს მიმდინარეობდა ევროპის 18 ქვეყნის საუკეთესო მოკრივეთა ორთაბრძოლები. დიდი წარმატება ჰქონდა ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს: ათივე საბჭოთა სპორტსმენი ფინალში გავიდა. ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს ფაქტიურად ჩატარებულ იქნა თავისებური მატჩი: ევროპის ნაკრები-საბჭოთა კავშირის ნაკრები. როგორც ცნობილია, ეს მატჩი მოიგეს საბჭოთა მოკრივეებმა — 6:4.

საპატიო პიედესტალისაკენ ძნელი გზის შესახებ მოგვითხრობს ფილმი „რინგის გმირები". ფილმის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს წინასწარ და საფინალო ბრძოლებს, მაგრამ კინოოპერატორებმა მოინახულეს რინგის კულისებიც: გადაიღეს სამედიცინო შემოწმების, აწონის, კენჭისყრისა და სხვა მრავალი მომენტი. მაყურებლები ნახავენ როგორ ემზადებოდნენ მოკრივეები ბრძოლისათვის, ისვენებდნენ, ეცნობოდნენ მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს და სხვ.

ფილმი „რინგის გმირები" მალე გამოვა ჩვენი ქვეყნის კინოეკრანებზე.

უიმბლდონსა და ცინოვიცში

უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირის მეოთხედფინალში საბჭოთა სპორტსმენებმა თ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა დამარცხება განიცადეს ფრანგების წყვილთან — დ. ბარკალაისთან და პ. დარმონთან — 4:6, 5:7, 3:6. ამგვარად, ამ ტურნირში მონაწილე 5 საბჭოთა სპორტსმენიდან, მხოლოდ ერთი — ა. დმიტრიევა განაგრძობს ბრძოლას ავსტრალიელ დ. ტეგარტთან ერთად ქალთა წყვილებში პირველობისათვის.

მესამე წრეში დმიტრიევამ და ტეგარტმა დაამარცხეს ინტერნაციონალური ძლიერი წყვილი — რ. ბენტი (ინგლისი) და დ. ბლაკმანი (აშშ) — 2:6, 7:5, 6:2, ხოლო მომდევნო წრეში მათ დაამარცხეს ჯესტერ (აშშ)-ტერნერის (ავსტრალია) წყვილი — 6:1, 6:3. დმიტრიევა და ტეგარტი გავიდნენ ნახევარფინალში.

• • •

ცინოვიცში (გდრ) მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, სადაც 8 ქვეყნის 50 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის 4 საბჭოთა ჩოგბურთელი.

პირველ წრეში თბილისელმა ი. ერმოლოვამ იოლად მოუგო ბერჰოფერს (გდრ) — 6:0, 6:0. ჩვენი ქალაქის მეორე წარმომადგენელმა — ნ. მძინარიშვილმა რიხტერთან (გდრ) გამარჯვების შემდეგ (6:4, 6:0, 6:2) „იმსხვერპლა" მეორე მასპინძელი — რაუტენბერგი — 2:6, 9:7, 8:6, 7:5. ტალინელმა ი. პარმასმა კი დამარცხება განიცადა ჩეხოსლოვაკელ 17 წლის ჩოგბურთელთან ი. კოდეშთან — 6:8, 2:6, 1:6.

ტურნირი გრძელდება.

სხვადასხვა...

სად უფრო ძნელია?

ცნობილი ფეხბურთელი ბილ რაიტი, რომელიც 105-ჯერ გამოვიდა ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში, ითვლებოდა ყველაზე უფრო დისციპლინირებულ მოთამაშედ თავის ქვეყანაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მსაჯს მისთვის მიეცეს რაიმე შენიშვნა, ანდა უფრო მეტიც, გაეგდოს მოედნიდან. დაამთავრა რა თავისი სპორტული კარიერა, რაიტმა დაიწყო მწვრთნელად მუშაობა „არსენალში". აი აქ კი ყოფილ ფეხბურთელს ფეხი დაუცდა. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ რაიტმა მიიღო სასტიკი გაფრთხილება მსაჯის წინააღმდეგ მიმართული ხმამაღალი და ზედმეტად ტემპერამენტული კრიტიკისათვის.

მაშ სად უფრო ძნელია შეიკავო თავი და ასე აშკარად არ გამოხატო გრძნობები — საფეხბურთო მოედანზე თუ ტრიბუნებზე?

რედაქტორი ი. უგულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09,
გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.   უე 05988